შპს კეონი აკადემია

2020 -2026 წწ სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში

თბილისი

2023

შინაარსი:

1. ხედვა, მისია , ღირებულებები ---------- ----- 3

2. კეონი აკადემიის SWOT ანალიზი ----------4

3. 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმა ----------5

4. 2020-2024 წწ მუშაობის შედეგები swot ანალიზთან მიმართებაში ---------- 16

შპს კეონი აკადემიის ხედვა, მისია , ღირებულებები

აკადემიის მისია თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადება.

აკადემიის ხედვა 2031 წლისთვის იყოს ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი, ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში, რომელიც ვითარდება ინოვაციური მიდგომებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის საფუძველზე. ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება დაინტერესებული საზოგადოებისათვის სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებით.

აკადემიის ღირებულებებია:

- პროფესიონალიზმი;
- ხარისხზე და განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- გუნდურობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;

კეონი აკადემიის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
▪ ძლიერი საერთაშორისო პარტნიორი; ▪ თანამედროვე სტანდარტების სასწავლო გარემო; ▪ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა; ▪ პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გავლა თანამედროვედ აღჭურვილ სალონებში; ▪ კვალიფიციური პერსონალი; ▪ ეფექტური პიარ კამპანია; ▪ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი; ▪ კურსდამთავრებულების დასაქმებისა ხელშეწყობა;	▪ ქართულ ენაზე ,თმისა და სილმაზის მომსახურეობის მიმართულებით, პროფესიული სასწავლო ლიტერატურის არ არსებობა; ▪ პედაგოგთა მიერ უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების დაბალი დონე, ენობრივი ბარიერი; ▪ სწავლა-სწავლების გამოცდილების არ ქონა;

შესაძლებლობები	საფრთხეები
▪ საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში აქტიური ჩართულობა; ▪ მოკლევადიანიპროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელება; ▪ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; ▪ ევროპაში აპრობირებული სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა ; ▪ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება;	▪ არასტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა; ▪ სტუდენტების საშუალო განათლების დაბალი დონე; ▪ სახელმწიფო დაფინანსების წესი კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებაში;

2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიული მიზანი 1: ხარისხზე ორიენტირებული საგანამანათლებლო საქმიანობის განვითარება								
ამოცანა	20	21	22	23	24	25	26	შესრულების ინდიკატორი
საგანამანთლებლო პროგრამების განვითარება								მოქმედ საგანამანათლებლო პროგრამებში მათი განვითარების მიზნით შეტანილია ცვლილებები; დანერგილია ახალი საგაანმანათლებლო პროგრამები.
სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა								დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი; დანერგილია დისტანციური სწავლებისა და შეფასების მეთოდები; გაზიარებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.
მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა								დანერგილია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები; დანერგილია არაფორმალური გაანთლების აღიარების მექანიზმები; დანერგილია სხვადსხვა სასერტიფიკატო კურსები;
სტრატეგიული მიზანი 2: ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა								
ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა								ბიუჯეტი პერმამენტულად იზრდება; შემოსავლების წყაროები დივერსიფიცირებულია;
მატერიალური რესურსების განვითარება								საბიბლიოთეკო რესურსები პერმამანეტულად იზრდება ; შემუშავებულია/განვითარებულია მატერიალური რესურსების მარეგულირებელი დოკუმენტაცია; მოწყობილია/განვითარებულია სამუშაო და

								დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
საინფორმაციო რესურსების განვითარება								სამოქ მედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგისთვის დანერგილია სპეციალური პლატფორმა; შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები; ამოქმედებულია ელ ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტების, პერსონალისათვის და სხვადახვა დაინტერესებული მხარეებისათვის; განვითარებულია დაწესებულების ვებ გვერდი; გაზრდილია აკადემის მიერ გამოყენებული სოციალური ქსელების რაოდენობა;
ორგანიზაციული კულტურის განვითარება								განხორცილებულია თიმბილდინგის ღონისძიებები; სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩატარებულია ღონისძიებები; დაფუძნებულია გუნდური მუშაობის პრინციპები; წახალისებულია პერსონალის თვითგანვითარების ინიციატივები.
სტრატეგული მიზანი 3: კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება								
კეონი აკადემიის პოპულარიზაციის ხელშეწყობა								გაზრდილია კეონი აკადემიის სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა; ჩატარებულია ცნობადობის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიები; ჩატარებულია საქველმოქმედო აქცია/ღონისძიებები; მოწყობილია პროფესიულ სტუდენტთა ხელობის საჩვენებელი პრეზენტაციები; ყოველწლიურად მზადდება

								პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრების კოლაჟი;
პროფორიენტაციის სისტემის განვითარება								ჩატარებულია პროფ.ორიენტაციის ღონისძიები ყოველწლიურად მინიმუმ 3 სკოლაში;

								აკადემიაში ამოქმდებულია პროფ.ორიენტაციასთან დაკავშირებული საკონსულტაციო სერვისი;
საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება								საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის ამოქმედებულია მინ. 3 სოციალური ქსელი; შემუშავებული/განვითარებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი; საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის ამოქმედებულია on –line კომუნიკაციის სისტემა; ამოქმედებულია მიზნობრივი ჯგუფები სოციალურ ქსელებში; განვითარებულია აკადემიის ვებ გვერდი როგორც ქართულ,ასევე ინგლისურ ენაზე.
სტრატეგიული მიზანი 4: ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება								
პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება								შემუშავებული/განვითარებულია პერსონალის საქმიანობის შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტაცია ;

ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა								შემუშავებულია და ამოქმედებულია პერსონალის პროფესიულ საჭიროეობათა კვლევის სისტემა; პერსონალის თვითგანვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები მხარდაჭერილია; ჩატარებულია ადამიანური რეურსების განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (სხვადახვა ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ)
სტრატეგიული მიზანი 5: სტუდენტური სერვისების განვითარება								
პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარება								შემუშავებული და დანერგილია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმები; დანერგილია არაფორმალური გაანთლების აღიარების მექანიზმები; ამოქმედებულია
								სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი მექანიზმი;
ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარება								ჩატარებულია ექსტრაკურიკულური აქტივობები (ექსკურსიები/კონფერენციები/მასტერკლასები/ კონკურსები/და სხვა) ამოქმედებულა ექსტრაკურიკულური აქტივობებით პროფესიულის სტუდენტების კმაყოფილების კვლევს მექანიზმები
პროფესიულ სტუდენტთა კონსულტაციისა და მხარდაჭერის სისტემის განვითარება								ამოქმედებულია პროფესიულ სტუდენტთა კონსულტაციის სისტემა, განვითარებულია დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები; ორგანიზებულია ან მონაწილეობა მიღებული დასაქმების ფორუმებში; გამოვლენილია მინიმუმ 2 სფერო რომლებშიც პროფესიულ სტუდენტებს სჭირდებათ დახმარება და დანერგილია შესაბამისი მხარდაჭერის სისტემები;

სტრატეგიული მიზანი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პორგრამების შეფასება

ამოცანა 1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

აღნიშნული ამოცანის შესრულება შპს კეონი აკადემიას გაწერილი აქვს 2020 წლიდან 2026 წლის ჩათვლით. 2021 და 2023 წლებში [1]კეონი აკადემიაში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თმის მომსახურება“ და „ ფრჩხილის მომასხურების“ შეფასება. განხორციელებული შეფასებების მიხედვით გამოიკვეთა სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროება, თემატიკის გამრავალფეროვნება და ზოგიერთი მოდულის განხორციელების დროის გაზრდა რაზედაც აკადემიამ ინფორმაცია მიაწოდა ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს, რომელიც სწორედ რომ სტანდარტების გადახედვაზე მუშაობს და ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს გეგმით 2023 წელს უნდა განხორციელდეს თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროს სტანდარტის დამტკიცება. მიმდინარე ამოცანაზე მუშაობას აკადემია გააგრძელებს მომდევნო წლებშიც.

ამოცანა 2 სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

აღნიშნული ამოცანის შესრულება კეონი აკადემიას გაწერილი აქვს 2020 წლიდან 2026 წლის ჩათვლით. 2021 წლიდან შპს კეონი აკადემიაში ამოქმედდა ვერიფიკიაციის მექანიზმი როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული მომზადების პროგრამებზეც. ვერიფიკაციის დროს ხდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვეთა, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას. ვერიფიკაციები აკადემიაში ტარდება ყოველი მიღების ფარგლებში. რაც შეეხება დისტანციური სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, აღნიშნული მიმართულებით აკადემიაში ჩატარებული იქნა კვლევა “ სირთულეები დისტანციურ სწავლებაში“, პროფესიული განათლების მასწავლებლებს მიეწოდათ სხვადახვა ჰენდაუთი დისტანციური სწავლების დროს გამოსაყენებლ სწავლების

[1] 2022 წელს აკადემიაში არ ყოფილა მოქმედი პროფესიული სტუდენტი, შესაბამისად პროგრამების შეფასება არ განხორციელებულა

მეთოდებთან დაკავშირებით. პროფესიული გაანთლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრეინინგების აღნიშნული მიმართულებით. დისტანციურად სწავლება აკადემიაში მიმდინარეობდა 2020 და 2021 წლებში და პროფესიულ სტუდენტთა და მაასწავლებელთა კვლევით აღნიშნული პროცესი წარიმართა დადებითად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დისტანციური მეთოდს, აღნიშნული მეთოდი არ დანერგილა აკადემიაში. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შესაძლებელია დისტანციური შეფასების მეთოდის დაინერგვაზე აკადემიამ იმუშაოს 2025 წლიდან, ვინაიდან 2024 წელს პროფესიული სტუდენტი აკადემიას არ ჰყავს. საერთაშორისო პრატიკის გაზიარების მიზნით, აკადემია დამფუძნებლის „ beauty life" დახმარებით უწვევს საერთაშორისო ტრენერებს რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლებს უზიარებენ საერთაშორისო პრაქტიკას. აღნიშნულ აქტივობას აქვს პერმანენტული ხასიათი.

ამოცანა 3 მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა

აღნიშნული ამოცანის შესრულება კეონი აკადემიას გაწერილი აქვს 2020 წლიდან 2026 წლის ჩათვლით. 2020 წლიდან აკადემიაში მოქმედებდ სამი პროფესიული მომზადების პროგრამა „ თმის შეჭრა" , „თმის ღებვა" და „ ფრჩხილის მოვლა მოწესრიგება". 2023 წელს აკადემიამ ხელახლა მოიპოვა აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება და ასევე აღნიშნული პროგრამების მსმენელების გამოკითხვის შედეგად დაგროვილი ინფორმაციის განაალიზების შედეგად დამატებით 2023 წელს მოიპოვა უფლება განახორციელოს სამი პროფესიული მომზადების პროგრამა. რაც შეეხება შიდა საერთიფიკატო პროგრამების ამუშავებას, აკადემიამ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა 2021 წელს . აღნიშნული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავა შიდა სასერთიფიკატიო პროგრამები, თუმცა მათი ამოქმედება ვერ მოხერხდა აპლიკანტთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე. აკადემიამ შეიმუშავა არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, თუმცა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში არ წარუდგენია მოთხოვნა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, ვინაიდან არ არის მოთხოვნა აღნიშნული მიმართულებით. მოთხოვნის არ არსებობა კი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დამსაქმებელი დასაქმებული პირისგან არ ითხოვს კომპეტენციის დამადასტურებელ სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომს/სერთიფიკატს

და შესაბამისად პოტენციური სამუშოას მაძიებლის აყვანა სამხსახურში ხორციელდება გასაუბრების/ პრაქტიკული ცოდნის შემოწმების საფუძველზე.შესაბამისიად აღნიშნული აქტივობის აქტუალურობა ამ ეტაპზე არ იკვეთება. მიუხედავად ამისა აღნიშნული აქტივობა აკადემიის სტრატეგიული გეგმიდან არ არის ამოღებული, არამედ შესაძლებელია მისი შესრულება შესაძლებელია განხორციელდეს 2026 წლისთვის. რაც შეეხება სასერთიფიკატო კურსების მისი ამოქმედება სასურველი იქნება აქტიურად განხორიცლედეს 2024 წლიდან.

სტრატეგიული მიზანი 2 . ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 1. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

აღნიშნული ამოცანის შესრულება აკადემიას გაწერილი აქვს 2020-2026 წწ. თუმცა ამ ოთხ წლიან პერიოდში აღნიშნული ამოცანა ვერ იქნა შესრულებული. ვინაიდან ორი მიღების ფარგლებში აკადემიას საერთოდ არ ჰყავდა პროფესიული სტუდენტი, ხოლო სამი მიღების შემთვევაში მათი რაოდენობა მიზერული იყო. 2020-2023 წლებში მოხდა შემოსავლის წყაროების დივერისფიცირება. აკადემიამ დაიწყო თანამშრომლობა ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

ამოცანა 2. მატერიალური რესურსების განვითარება აღნიშნული ამოცანის შესრულება გაწერილია 2020 -2026 წწ. 2021 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება საბიბლიოთეკო რესურსების გაზრდა. პირველი ორი წელი 10-10 საგანმანათლებლი რესურსით, შემდეგი ორი წელი კი 15-15 საგანმანათლებლო რესურსით. აკადემიაში შემუშავებული იქნა მატერიალური რესურსების შეფსებისა და განკარგვის წესი, რომლის მიხედვითაც ყოველწიურად ხორციელდება ინვენტარიზაცია და აკადემიაში არსებული მატერიალური რესურსების შეფასება. 2021 წლიდან აკადემიაში გამოიყო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის სადაც, მათ შეუძლიათ დასვენება და ჯგუფირი/ინდივიდულაური სამუშაოების შესრულება, სპორტული აქტივობებით დაკავება.

ამოცანა 3. საინფორმაციო რესურსების განვითარება აღნიშნული ამოცანის შესრულებაც აკადემიაში გაწერილია 2020-2026 წწ. 2021 წელს აკადემიაში შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები. აღნიშნულ დოკუმენტში შესულია ცვლილებები. 2020-2021 წლის მიღების ფარგლებში ამოქმედებული იქნა ელ ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდეტებისათვის, თუმცა პრაქტიკამ გიჩვენა რომ პროფესიული სტუდენტებსიათვის მეილზე მეტად მოსახერხბელია ინფორმაციის გაზიარება FACEBOOK დახურულ ჯგუფში, რადგაანც აღნიშნულ პლატფორმაზე უფრო მეტია მათი მხრიდან ხელმისაწვდომობა. დაწესებულების ვებ გევრდი 2020-2023 წწ ვითარდება პერმანენტულად, ხორციელდება ინგლისურ ენოვანი გვერდის ამოქმედება. გაზრდილია სოცილაური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა.2020 წლის ბოლოს გამომწერთა რაოდენობა იყო 3466 ხოლო 2023 წლის ბოლოს 6.6 ათ. არ განხორციელებულა სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგისთვის სპეციალური პლატფორმის დანერგვა ფინასნური რესურსების სიმცირიდან გამომდინარე.

ამოცანა 5. ორგანიზაციული კულტურის განვითარება აღნიშნული ამოცანის შესრულებაც აკადემიაში გაწერილია 2020-2026 წწ. აკადემიაში პერმანენტულად მიმდინარეობს თიმბილდინგი, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩატარებულია სხვადახვა სოციალური/საქველმოქმედო აქტივობები. გუნდური მუშაობის პრინციპის წახალისების დანერგვის მიზნით აკადემიაში სხვადახხვა მარეგულირებელი დოკუმნეტების შემუშავება/გადახედვა/ცვლილებების შეტანა ხორციელდება სამუშაო ჯგუფების მიერ. რაც შეეხება პერსონალის ინიციატივების წახალისებას მხოლოდ 2023 წელს განხორციელდა ერთი პროფესიული განათლების მასწავლებლის მხრიდან ინიციატივის დაფიქსირება რაც მხარდაჭერილი იქნა ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან.

სტრატეგიული მიზანი 3. კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება

ამოცანა 1. კეონი აკადემიის პოპულარიზაციის ხელშეწყობა

აღნიშნული ამოცანის შესრულებაც აკადემიაში გაწერილია 2020-2026 წწ. ოთხი წლის განმავლობაში გაზრდილია სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა. 2021-2023 წწ პერმანენტულად ტარდებოდა აკადემიის ცნობადობის გაზრდის მიზნით დაგეგმილი

სხვადასხვა აქტივობები, ისეთები როგორიცაა საქველმოქმედო აქციები.აკადემიამ 2021 წელს მონაწილოება მიიღო საერთაშორისო განათლების გამოფენაში, ტარდებოდა შეხვედრები საჯაროს სკოლის 9-12 კლასებთან. ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში თავსდებოდა აკადემიის კურსდამთავრებულთა ნამუშევრები. თუმცა ამ მიმართულებით სამუშაო კიდევ ბევრია.

ამოცანა 2. პროფორიენტაციის სისტემის განვითარება აღნიშნული აქტივობის შესრულება გაწერილია 2020-2026 წწ. ამ მიზნით 2022 წლიდან დაიწყო შეხვედრები საჯარო სკოლების ადმინისტრაციასთან და 9-12 კლასის მოსწავლეებთან. შეხვედრების დროს მოსწავლეებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია აკადემიის შესახებ, პროფესიული საგანანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების პროგრამების შესახებ რომელსაც აკადემია ახორციელებდა. აღნიშნული შეხვედრები ფასდება დადებითად, რადგანაც ჩატარებული შეხვედრების შედეგად აკადემიაში 2022-2023 სასწავლო წელს ჩაირიცხა პროფესიული სტუდენტები. აკადემიაში ამოქმდებულია პროფ.ორიენტაციასთან დაკავშირებული საკონსულტაციო სერვისი. შემუშავებულია პროფესიული ორიენტაციის გაწევის წესი და წლის განმავლობაში დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ აკადემიი შესახებ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია, ასევე დაათვალიერონ სასწავლო გარემო. წლის ბოლოს პროფორეინტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი აკეთებს წლის განმავლობაში დაგროვებული ინფორმაციის დაოქმებას. აღნიშნული ოქმებიდან ირკვევა, რომ 2022 და 2023 წლებში ჩატარებული პროფორიენტაციის შედეგად ის პირები რომლებსაც გაეწია აღნიშნული მომსახურება ან პროფესიული მომზადების ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხნენ.

ამოცანა 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება აღნიშნული აქტივობის შესრულება აკადემიაში გაწერილია 2020-2026 წწ. 2021 წელს შემუშავებულ იქნა საზოგადიებასთან ურთიერთობის წესი. საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის აკადემია იყენებს facebook ,Instagram და linkidn ს. თუმცა გამოყენების სიხშირით facebook და instagram უფრო პოპულარულია. ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოიყენება აკადემიი ვებ გვერდი სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება მისწეროს აკადემიას და მოითხოვის მისთვის სასურველი ინფორმაციის მიღება. მიმდინარეობს აკადემიის ვებ გევრდის განვითარება როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე. სოციალურ ქსელებში

იქმნება მიზნობრივი დახურული ჯგუფები სადაც პერმანენტულად თავსდება ჯგუფში გაწევრიანებული პირებისთვის საჭირო ინფორმაცია.

სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების განვითარება

ამოცანა 1. პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება აღნიშნული ამოცანის შესრულება აკადემიაში აგწერილია 2020-2026 წწ. 2021 წელს აკადემიაში შემუშავებული იქნა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი რომელშიც აღწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესი. აღნიშნული აქტივობა უკვე შესრულებულია.

ამოცანა 2. ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა აღნიშნული აქტივიბის შესრულება აკადემიაში გაწერილია 2020-2026 წწ. აკადემიაში 2021 წელს შემუშავდა ადამინაურუ რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი , რომლის მიხედვითაც ტარდება პერსონალის საჭიროებათა კვლევა წელიწადში ერთხელ და აღნიშნული კვლევიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ტრენინგები. 2023 წლიდან ამოქმედდა პერსონალის თვითგანვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერის სისტემა. აკადემიაში პერმანენტულად ტარდება სხვადასხვა სახის ტრეინინგები, სემინარები, კონფერენციები პერსონალის განვითარების მიზნით.

სტრატეგიული მიზანი 5. სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანა 1. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარება აღნიშნული ამოცანის შესრულება აკადმიაში გაწერილია 2020-2026 წწ. 2021 წლიდან შემუშავებულია და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმები. აკადემიაში შემუშავებულია არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, თუმცა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება არ აქვს აკადმიას მოპოვებული. ამოქმედებულია სწავლის გადახდის მოქნილი სისტემა. პროფესიული სტუდენტებისათვის დგება გრაფიკი სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით.

ამოცანა 2. ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარება აღნიშნული ამოცანის განხორციელება აკადემიის სტარტეგიულ გეგმაში მიოცავს 2020-2026 წწ. 2020 წლიდან

აკადემიაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები, სემინარები პროფესიული სტუდენტებსიათვის და მსმენელებისათვის. 2021 და 2022 [2]წლებში ჩატარდა სტუდენტური კონფერენციები . დანერგილია და ამოქმედებულია პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მექანიზმი. აღნიშნული კვლევა აკადემიაში ტარდება 2021 წლიდან.

ამოცანა 3. პროფესიულ სტუდენტთა კონსულტაციისა და მხარდაჭერის სისტემის განვითარება

აღნიშნული აქტივობის შესრულება აკადემიაში გაწერილის 2020-2026 წწ.. აკადემიაში შემუშავებულია და ამოქმედებულია პორფესიულ სტუდენტთა კონსულტაციის სისტემა. დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ყოველწოიყრად ახლდება დამსამებელთა ბაზები, კურსდმტავრებულთა ჯგუფში იდება ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ, ჩატარდა შეხვედრა დამსაქმებელთან. 2021 წელს ჩატარდა კვლევა პროფესიულ სტუდენტთა სერვისების განვითარების მიზნით და შესაბამისად კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროების აღმოსაფხვრელად გატარდა შესაბამისი ქმედებები.

[2] 2023 წელს აქტიური პროფესიული სტუდენტის არ არსებობის გამო ყოველწლიური კონფერენცია ვერ ჩატარდა.

2020-2024 წლების მუშაობის შედეგები აკადემიის SWOT ანალიზთან მიმართებაში

ძლიერი მხარეებიდან აღსანიშნავია რომ ეფექტურად გამოიყენება საერთაშორისო პარტნიორი და მისი დახმარებით პერმანენტულად ხორციელდება პროგამების განმახორციელებელი პირების გადამზადება (ტრეინინგების და მასტერკლასების ჩატარება). სწავლების მაღალ ხარისხს ხელს უწყობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემო. დაწყებულია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა, პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული სწავლების კომპონენტს გადიან თანამედროვედ აღჭურვილ სალონებში. დაწყებულია და ეფექტურად ხორციელდება კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა. რაც შეეხება ეფექტურ პიარ კამპანიას აკადემიას ცნობადობის ამაღლების კუთხით ესაჭიროება პიარ კამპანიის გააქტიურება.

შესაძლებლობები ამოქმედებულია პროფესიული მომზადების პროგრამები, (ჯამში 6 პროგრამა), შემუშავებულია არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, თუმცა უფლება ჯერ არ არის მოპოვებული. დაწყებულია ზრუნვა პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე. აკადემია არ არის საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში აქტიურად ჩართული. დაწყებულია ევროპაში არსებული სწავლების ინოვაციური, მეთოდების გაცნობის და დანერგვის ეტაპი.

სუსტი მხარეები: ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირის გამო დაწყებულია მუშაობა სახელმძღვანელოზე, კვლავ დაბალია პედაგოგთა მიერ უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების დონე. რაც შეეხება სწავლა-სწავლების გამოცდილების არ ქონას, აკადემია უკვე 4 წელის ფუნქციონირებს, წარმატებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროფესიული მმზადების პროგრამებს და ამ ოთხი წლის განმავლობა სწავლების გამოცდილება შეიძლება ითქვას პროფესიული განათლების მასწავლებლებს დაუგროვდათ.

საფრთხეები: აღსანიშნავია რომ შეცვლილია სახელმწიფო დაფინანსების წესი კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებაში და 2020 წლიდან სახელმწიფო უკვე ახდენს პროგრამების თანადაფინასნსებას. რაც შეეხება არასტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობას და სტუდენტების საშუალო განათლების დაბალი დონეს ამ კუთხით ვითარება არ შეცვლილა.